

ნოტარიუსის სამუშაო გრაფიკის განსაზღვრის

წესი შესახებ

მუხლი 1.

წესი ნოტარიუსთა სამუშაო გრაფიკის განსაზღვრის თაობაზე (შემდგომ - წესი) მიღებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 28 დეკემბრის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ №208 ბრძანების მე-2 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 2.

წესის მიზანია ნოტარიუსთა სამუშაო გრაფიკის დადგენის გზით ხელი შეუწყოს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა შეუფერხებელ მომსახურებას და მათი ინტერესების დაცვას.

მუხლი 3.

ნოტარიუსი უფლებამოსილია, ინდივიდუალურად დაადგინოს სამუშაო გრაფიკი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

სამუშაო დღეები - კვირაში არანაკლებ ხუთი სამუშაო დღე;

მუშაობის დაწყების დრო - არაუგვიანეს 11.00 სთ;

სამუშაო დროს ხანგრძლივობა - დღეში არანაკლებ 5 საათი (შესვენების დრო არ შედის სამუშაო დროში).

მუხლი 4.

1. ნოტარიუსი ვალდებულია დაიცვას მის მიერ განსაზღვრული და პალატისათვის მიწოდებული სამუშაო გრაფიკი. ნოტარიუსი ვალდებულია გრაფიკის შესახებ ინფორმაცია განათავსოს სანოტარო ბიუროს შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას.

2. ამ წესით დადგენილი გრაფიკის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა საპატიო მიზეზით სამსახურში არ ყოფნის შემთხვევებისა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება:

ა) თუ ნოტარიუსი ასრულებს გასვლით სანოტარო მოქმედებას;

ბ) თუ ნოტარიუსი ეწევა პედაგოგიურ და/ან სამეცნიერო საქმიანობას;

გ) თუ ნოტარიუსი გახდა ავად;

დ) თუ ნოტარიუსი იმყოფება შვებულებაში და არ ჰყავს დანიშნული შემცვლელი პირი;

ე) თუ ნოტარიუსი იმყოფება სამსახურებრივ მივლინებაში, ესწრება ნოტარიუსთა პალატის მიერ ორგანიზებულ სემინარებს/ტრენინგს ან თუ ნოტარიუსი არჩეულია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მართვლობის ორგანოებში და მისი სამსახურში არ ყოფნა უკავშირდება ამ ორგანოებში მის მიერ განსახორციელებელ საქმიანობას.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა ნოტარიუსთა პალატის მიერ ორგანიზებული სემინარების/ტრენინგებისა) ნოტარიუსი სამსახურში

გამოუცხადებლობის შესახებ არაუგვიანეს წინა სამუშაო დღისა, ელექტრონული ფოსტის და/ან დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის (დეს) საშუალებით ინფორმაციას აწვდის საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მონიტორინგის სამსახურს. ამასთანავე, ნოტარიუსი უფლებამოსილია გამოიყენოს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) ფორმა, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას (ტექნიკური მიზეზის ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე). (10.10.2017 წ. #28 §9)

3¹. ნოტარიუსმა შეტყობინებაში უნდა მიუთითოს სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზი. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების დაგვიანება შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას, რა შემთხვევაშიც, ნოტარიუსმა ამ მიზეზის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის ფარგლებში უნდა მიაწოდოს დასაბუთებული ინფორმაცია ნოტარიუსთა პალატის მონიტორინგის სამსახურს შესაბამისი გარემოებებისა და/ან შეუტყობინებლობის მიზეზების თაობაზე. (10.10.2017 წ. #28 §9)

4. დადგენილი სამუშაო გრაფიკი ნოტარიუსს არ უკრძალავს სანოტარო საქმიანობის განხორციელებას სხვა ნებისმიერ დროს [მათ შორის დასვენების დღეებსა და/ან არასამუშაო საათებში].

მუხლი 5.

საჭიროების შემთხვევაში, ნოტარიუსი უფლებამოსილია წერილობითი განცხადებით მიმართოს ნოტარიუსთა პალატას დადგენილი სამუშაო გრაფიკის შეცვლის თაობაზე.

მუხლი 6.

ეს წესი ძალაში შედის მიღებისთანავე.